

რედაქცია: ს.ლოლაძე, სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. აბრამოვის სახლში. № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევს ქუჩაზე, ივ. აბრამოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типо-литъ. Въ редакцію газ. „Дროზა“.

გაზეთის ღირსი: მთელის წლი-სა—8 მან., ნ ხევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

უკველ დღე ორშაბათს გარდა

განცხადება: მიიღება ქართულ-რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასო-ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქციას უფლება აქვს გა-სწოროს და შეამოკლოს დახაზულად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდე-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დება.

მოკავალს 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე პროგრამითა და მიმართულებით როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

მთელისში—მიიღება „დროების“ რედაქციაში (სერგიევს ქუჩაზე, ივ. აბრამოვის სახლში, № 8).

ბარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Типо-литъ. Въ редакцію газ. „Дროзა“.

აგენტების საშუალებით გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, რომ ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იყოს რედაქციაში გამოგზავნილი.

გაზეთის ფასი

მთელის წლისა	8 მან.
ნახევარის წლისა	5 „
სამის თვისა	3 „
ერთის თვისა	1 „

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ხვედრი ფასი გაზეთისა დაბარებისა-თანავე უნდა იქმნას გამოგზავ-ნილი; უფულოდ გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

## საქართველო

### სადილი ახლად-შემოქმედებულ ქართველებისათვის

რამდენთამე ქართველსა და მათ შო-რის ყველაზე პირველად უფ. დ. ი. ში-ფიანს მოუყვიათ თავში ჩინებული ჰაზო-რი, რომ შოაბატოქონ დეპუტატათ ჩა-მოსული ოსმალის საქართველოს ქარ-თველები და, სხვით თუ არაფრით, ერ-თად, ძმურად პურის-ჭამით, საზოგადო-სუფრაზე ამთავით მაინც დაუმტკიცონ მათ თავის თანაგრძნობა და სიყვარული.

დიდს სიამოვნებითა და სიხარულით მიიღეს მთელისის ყველა ქართველებმა ეს ამბავი. და ამ ორშაბათს მართლაც ამ მიზნით გამართული იყო სადილი მუხრანსკის სახლში, კლუბის დიდს ხალაში.

ორ საათზე საზოგადოებამ დაიწყო მოგროვება. სამზე ამ დიდს ხალაში მოგროვილი იყვნენ ყველანი, ეინც კი ამ ჩვენს დედა-ქალაქში წარჩინებული და გამოჩენილი არიან თავის კეჭით, შთამომავლობითა და ჩინებით.

მასპინძელთ რიცხვი იყო სულ ოთხ-მოც-და-ათ კაცამდინ; ამათში ერთენ:

თ. ბრ. დ. ორბელიანი, პ. შ. მამალა-შვილი, თ. ი. ა. ანდრონიკოვი, თ. დ. დ. ჯორჯაძე, დ. პ. შურცელაძე, დე-ნერლები: თ. გ. ხუმბათოვი, პ. სავინო-ვი, თ. ის. თუმანოვი, პობიევი, ტერ-ლეკასოვი და სხვ. ქართული ლიტერა-ტურის წარმომადგენელი თითქმის ყვე-ლანი იყვნენ, გარდა თ. ილ. ჰავეკაძისა, რომელიც ამ ჟამად ქალაქში არ იმყო-ვება; იყვნენ: თ. აკაკი წერეთელი, გ. წერეთელი, ი. ტერესელიძე, პ. შმიკა-შვილი, ნ. ავალიშვილი, „დროების“ რედაქტორი და სხვ. და სხვ.

სტუმრები სულ-ყველანი იყვნენ—16 კაცი; საკუთრივ დეპუტატისა გარდა იყო აგრეთვე დენ-მაიორი შერიჭ-ბეგი ხიმ-შიაშვილი.

სწორეთ სამ საათზე სანოვაგეს მო-თავემ უფ. დ. ი. შიფიანმა მოიწვია სა-ზოგადოება სუფრაზე, რომელიც სამის მზრით იყო გამართული. შუაში დაბრ-ძანდა თ. ბრ. დ. ორბელიანი; იმას მოუ-სდნენ: მარცხნივ ჭუსსეინ-ბეგ ბეჟან-ოლი, მარჯვნივ შერიჭ-ბეგი ხიმშია-შვილი; შემდეგ მარცხნივ იჯდა ნური-ბეგ ხიმშიაშვილი, მარჯვნივ ჭუსსეინ-ბეგი აბაშიძე, ჰასან-ბეგ ბეჟან-ოლი, მუჭთი-ეჭენდი სურმანიძე, ართვინის დეპუტატები, მღვდლები და სხვ. შუა-ჭამაზე, როდესაც შამპანის ღვი-

ნო შემოიტანეს, თ. ბრ. დ. ორბელიანი საესე სტაქნით ხელში წამოადგა და წარ-მოსთქვა შემდეგი ჩინებული, გრძნობით საესე სიტყვა:

### თ. ბრ. ორბელიანის სიტყვა

„ბატონებო! რას მოაწავებს დღეს ჩუქნი აქ შე-ყრილობა? რა გვიხარია? რასა ვდღე-სასწაულობთ? ძრება ესე წარმოგვიდგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილი, შავის ბედისა გა-მო, განშორებულნი, დიდს ხანს ერთმან-ნეთისათვის დაკარგულნი, —ანაზღვეულად, მოულოდნელად, შეჭხუდენ, იცნეს ერთ-მანეთი და გადახვიდნენ გულითადის სიყვარულითა.

ჩუქნიცა ვგრეთეს საქართველოს შვილ-ნი ვიყუით დაკარგულნი ერთმანეთისა-თვის საუკუნოების განმავლობაში; ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი ვაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც კი არ დავვი-წყებია დაშორებულნი ჩუქნი ძმები. თვალი, გული გეჭირა თქუნი კენ, ბა-ტონებო, და ენატროდით, როდეს აღმო-ვა ჩუქნი თვს მზე ვეერთებისა! (საზოგა-დოებაში მოსმის გაცხარებული ტაშის-კვრ).

და აი, გვისმინა ღმერთმანცა, და დღეს ჩუქნი შორის ეხედავთ დაშორებულ-თა ძმებთა და მოხარულნი ვჰმადლობთ ღმერთსა და ვევედრებით, რომ შეერ-თება ესე ჩუქნი იყოს უკუნითი უკუნი-სამდე შეურყეველად!.. და დღის იქით ლხინშიაც, ქირშიაც, უნდა ვიყუნიეთ ჩუქნი ერთად, ვითარცა ერთნი დედა სა-ქართველოს შვილნი.

მაგრამ, ბატონებო, ვინ არის, დეთის გარდა, მიზეზი ესრეთის ჩუქნის გაბედ-ნერებისა? შოვლად-მოწყალე დიდი იმპე-რატორი, აღმადგენელი და მფარველი ძველისა ივერისა! დაკურთხევაცა ღუთი-სა მოუფინოს დიდებულსა გვირგვინო-სანსა თავსა მისსა მრავალ და მრავალ-ჟამიერ, საბედნიეროდ დიდისა მის იმპე-რიისა.

„ბატონებო! ღმერთმან გვიდღეგმძე-ლოს ჩუქნი დიდი იმპერატორი, სარვის არ შეგვანატროსა!.. შორრაააა?“

ამ სიტყვის შემდეგ ხანგრძლივი ურა დიდხანს არ შეწყვეტილა საზოგადოება-ში.

თ. ბრ. ორბელიანის შემდეგ წარ-მოადგა უფროსი წევრი დეპუტატისა ჭუსსეინ-ბეგ ბეჟან-ოლი და წმინდა

ქართულის ენით, რამდენიმე სიტყვით, წარმოსთქვა სადღევრძელო დიდის მთავრის ძველი ნამესტნიკისა.

შემდეგ წარმოდგა უფ. ალ. ზუბალოვი და სთქვა:

**უფ. ალ. ზუბალოვის სიტყვა**

„მოწყალენო ხელმწიფენო!

„რაც უნდა მძიმე ხვედრი შეხედეს ხალხსა, საზოგადოებასა, თუ ბოლოს ყოველივე კარგათ გათავდება, დიან კაცმა მადლობა უნდა შესწიროს ღმერთსა.

„შემდგომ მრავალწლის ჩხუბისა, სისხლის ღვრისა და სიმძულვარისა ორთა ძმა ხალხთა შორის, რუსეთის და მსხალოს საქართველოსა, მიუხდომელმა განგებამა ისე მოიყვანა საქმე, რომ დღეს ეს ორი ჩამომტვრებული ხალხი ერთათ შეყრილნი ვართ სუფრასზე და ვდღესასწაულობთ განხეთქილობის მოსპობას ჩვენ შორის, ჩვენს ძმურათ შეყრასა „ძველებურათა, ჩვენებურათა“—იმ კაის გულითა, რომელსაც როგორც ჩვენ ჩვენში ვხედავთ, ისე თქვენშიც ვეგულვებით.

„ძველათ დიან მრავალგვარი სიმდიდრე და სიკეთე ჰქონა საქართველოსა, და ეხლა ერთი-და მინც საუნჯე კიდევ გვაქვს უნაკლულათ, ესე იგი კაი გული, ის გული, რომელიც ყოველთვის აღიძვრის თავგანწირულობით ყოველ საზოგადო კეთილ საქმეზედა ძმურის სიყვარულისათვის.

„ამ გვარ თვისებისა გამო ჩვენის გულისა უნდა მოგახსენოთ, რომ ეხლანებით თუ უნებურათ, ხომ ჩვენი ხართ, და რა გავიცანით ერთმანერთი და რა კიდევ უფრო ერთმანერთს უკეთ გავიცნობთ, მაშინ, უტყველია, სულ ჩვენი იქნებით, ერთნი ვიქმნებით და ერთათ გავსწევთ უღელსა საზოგადო წარმატებისათვის!..

„მაგრამ ვის ჰპართებს კიდევ ქება და პატივი ამ ჩვენი შეერთებისათვის? ბატონებო, სტაქნები დაამზადეთ! მს ქება და პატივი დიან გემართებს, რომ უძღვნათ ძრიელ რუსეთის ხალხსა! და ეს სადღევრძელო იყოს პატივისცემისათვის რუსეთის ხალხისა. შრააა!“

უფ. ა. ზუბალოვის შემდეგ ილაპარაკა უფ. დ. ი. შიფიანმა, რომელმანც სთქვა შემდეგი სიტყვა:

**უფ. დ. შიფიანის სიტყვა**

„ღღევანდლისთანა დღე დიდი ხანია სანატრელი იყო ჩვენთვის. მკობდ სიტყვა მომახსენებინეთ ამისი განსამართლებელი.

„ერთხელ საქართველოც ვერცელი და მაგარი ქვეყანა ყოფილა. ამაზედ გვემოწმებინა—ერთის მხრით—გმირული საისტორიო საქმეები, რომელსაც თვალწინ წამოგვიყენებს ერთი ცარიელი ხსენება ისეთის სახელისა, როგორც, მაგალითად, მანტანგ ბორგასლან, დავით აღმაშენებელი, დიდი და დიდად მნათობი მამარ მეფე;—მეორეს მხრით გვე-

მოწმებინა ისეთი ხუროთმოძღვრებითი ამოხსკითხავეები, როგორც, მაგალითად, ცხე-სიმაგრეები და ტაძრები შიგნით, და ტაძრები გარეთ, დიდის სიშარადამ რომ მოგვითხრობენ ქართველების ქველობასა და ღვთისმოყვარებას,—ათონის მთიდან, მაგალითად, იერუსალიმიდან.

„ბუნების გამომძიებლობით ვიცით, რომ ქვეყნიერებაში უძრავი არა არის—რა და არც ჩვენი ერთობა და სიმაგრე მდგარა უძრავად. როგორც ბრუნვაში სხვა-და, სხვა შეტაკება მომხდარა და ერთი ისეთიცა, რომ დაურღვევია ჩვენი გვარ-ტომობითი კავშირი,—და ორასმა, სამასმა წელიწადმა განვლო, რომ აქაურ ქართველებს იქაური ქართველებისა არა გვსმენია-რა,—ისინი ჩვენთვისა სწუხდნენ, ჩვენ იმათთვის;—ჩვენ იმათი აღარა ვიცოდით—რა, იმათ ჩვენი.

„მინ იცის კიდევაც რამდენ ხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, ჩვენ რომ დიდებულის რუსთ ხელმწიფისათვის არ მიგვენდო თავი. იმის მღვთიურმა ხალხთათვის ზრუნვამ მოგვმადლა ეს შეერთება ამდენის ხნის დაზარებულებსა. როგორც კნიაზმა ბრიგოლ დიმიტრის ძემ წარმოასთქვა, მისი დიდებულების უქვეშევრდომილეს მადლობას განუზომელათა ვზღვით ჩვენს გულში და რადგან ახლა აგვიხდა სამასწლეული ნატრვა, ვისურვოთ, კნ. ბრიგოლის სიტყვისამებრ, სიმტკიცე ამ ახლად აღდგენილის კავშირისა უკუნისამდე,—და ამ ჩვენს ძველს მოძმეებს რომ თვალთა ვხედავთ და ძმურის სიყვარულით შევხვართ, შევხვავთ სადღევრძელო იმათი!“

მა ჩინებული სიტყვაც დიდის აღტაცებით მოისმინა საზოგადოებამ.

მაგრამ ყველაზე მომეტებული შთაბეჭდილება მოახდინა და ყველაზე მომეტებული აღტაცება გამოაჩინა თ. აკაკი წერეთლის შემდეგმა სიტყვამ:

**თ. აკაკი წერეთლის სიტყვა**

„ბატონებო!

„ბევრი ქართული ლხინი გვინახავს, ხშირათ დავსწრებივართ ქართულ სუფრაზედ, სადაც ჩვეულებრივი მოლხენა და გულ-გახსნილობა ყოფილა.

„მაგრამ ისიც კი არ დავგვჩენია შეუნიშნავად, რომ ხან-და-ხან იმ მოლხენის დროს ზოგიერთ მოლხინე ქართველების მხარულ სახეს ჰქუნვის ღრუბელი გადაკვრია; თითქოს იმათ იმ დროს რაღაც სწვევტლათ გულსა, თითქოს ისინი მაშინ რაღასაც ისაკლისებდნენ იმ მდიდარ სუფრაზედ!..

„ღღევანდელი ლხინი კი, ვხედავთ, სხვა გვარია: მხარულდება უნაკლულთა და სიხარული უღრუბლო!

„და რას უნდა მივაწეროთ ეს? თუმცა თვითოეული თქვენგანიც კარგათა გრძობს ამას, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ამის მიზეზია დროთა-ვითარებისაგან დაზარებულის ჩვენის მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბძანდებიან, დღეს ხელ-ახლათ ჩვენთან შამოერთება და ძმურად შეკავშირება.

„დიან, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლიან მივიღეთ ჩვენს უნაპირებო-საფლავებთან და ჩავსძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გავგიფუტუბია!

„და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი? „... აქ მე ნამეტანს არას ვიტყვი... მს ანდერძი იყო: დედა-ენა და ერობა! ამაგების სადღებლად ბევრი შრომა გაუწევიათ და დიდი მსხვერპლი შეუწირავთ ჩვენ ნეტარ-სახსენებელ მამა-პაპებს.

„პირველი, ი. ი. ენა, ისე მდიდრულად შეუკავშირეთ და ისეთი გემოც მიუციათ, რომ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი დაფიწყება და არა-თუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმეებსაც, რომელნიც ჩამოდენიმიე საუკუნოების განმავლობაში დაზარებულნი ვყევანდნენ, იმათაც კი შერჩენიათ დედა-ენა ტკბილად სასაუბროთ.

„მეორე, ე. ი. ერობა, ისე მდიდრულად შეუკუთმავით და ისეთ გვარად აუბეჭდავთ როგორც გარეგანის ისე შინაგანის საკუთრად ქართველს ერის საკუთრად ნიშნებათ, რომ დღესაც ქართველი ერთის შეხედვისა-თანავე იცნობა. მსევე ნიშნები დარჩენია ჩვენ მოძმეებსაც; ამის დასამტკიცებელათ შორს ნულარ წავალთ, საკმაოა, რომ აქვე, ამ სუფრაზედ, მივიხედ-მოვიხედოთ.

„ახლა ვხედავთ, რომ ჩვენი წინაპრების დანაპირები აქედაც და იქითაც შენახულა და ამით სჩანს, რომ ჩვენ-შორის ძმური კავშირი თურმე არაოდეს არ ყოფილა მოშლილი!...

„დიან, დღემდე თუ ცალ-ცალკე შეგვინახავს ის ანდერძი, დღეს უფრო აღვილოდ და ძლიერად ავასრულებთ, თუ კი ძმურად მივსცემთ ერთმანერთს ხელს, დავადგებით ერთს გზას და მივმართავთ ერთს მიზანს.

„აქ ესეც უნდა მოვიხსენიოთ, რომ იმ ჩვენ სამაგალითო მამა-პაპებს სხვათა შორის ერთი დიდი ღირსებაცა ჰქონდათ: მტრის და მოყვრის პასუხისმგება! მისგანაც კი რამ კეთილი დაუნახავთ, ერთი ათასად გაღუბნათ.

„ამ ღირსებაებს ნურც ჩვენ ვიქნებით მოკლებული: ვინც ჩვენ კეთილს გვიქადებს და ვინც აგვისრულებს დანაპირებს, ჩვენც ვეცადოთ მისთვის სამაგიეროს გადახდა და დაუმტკიცოთ სიყვარული..

„თუ ჩვენი მამა-პაპები აღვეწებდნენ თვალს ქვეყნის მოძრაობას, ნურც ჩვენ ვიქნებით თვალ-დახუჭული...

„მზათ ვიყოთ, რომ ბედს, საიღამაც უნდა მოდიოდეს, კარი გაუულოთ,—და უბედობას ვეწინააღმდეგოთ!

„მს იქნება იმ ანდერძის სისრულეში მოყვანა!...

„მაგრამ, რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალ-ყური ვადვენოთ დრო და ვითარებას, საჭირო არის, რომ ვეცადოთ ჩვენის უვილების გამოხრდა.. მივცეთ გზა განათლებას. და შემდეგ მათ ენერგიასა და ცოდნას მამებმაც დავაჩვენოთ ჩვენი გამოცდილება და ისე შეერთებულად ვიღვეწოთ, რომ



ჩვენ წინაპრებთან პირ-შავათ არ დავრ-  
ჩით...“

ხანგრძლივი ბრავოს და ურას ძახილი-  
თა და ყვირილით დააჯილდოვა ჩვენი  
ჩინებულო, ნიჭიერი პოეტი საზოგადო-  
ებას ამ სიტყვის თქმისათვის, რომელ-  
შიაც იმან ასე მარტივად და ამავე დროს  
ასე ღრმა გრძობით გამოხატა ის, რაც  
თითოეულს ჰქონდა გულში. შევლანი  
მიდიოდნენ თ. აკაკი წერეთელთან და  
ულოცავდნენ ამ მშვენიერი სიტყვის  
წარმოქმისათვის და თან მადლობას  
სწირავდნენ...

სადილი ამით გათავდა. შევლანი წა-  
მოდგნენ სუფრიდამ. მაგრამ სანოვავე  
კი ჯერ არ გათავებულა: ნასადილვეს  
დიდხანს იყო კიდევ ლექურისა და დავ-  
ლურის თამაში, თვითონ დღევგატებმაც  
კი ითააშვს თავიანთებური ფერხული,  
რომელიც, უეჭველია, ჩინებული გრა-  
ციოზული თამაში უნდა იყოს. სუფრაზე  
და სუფრის შემდგვაც იყო ქართული  
სიმღერა, მრავალ-ჟამიერ და სხვ.

ზგუფ-ზგუფად გროვდებოდა საზოგა-  
დობა და ლაპარაკობდნენ, სჯიდნენ;  
ყველასთვის სალაპარაკო საგანი იყვნენ  
ახლად შემოერთებული ქართველები;  
ყველასი ყურადღება აქ მყოფ იმათ  
წარმომადგენლებზე იყო მიქცეული.  
ერთს გროვაში მოიგონეს ის პირნი,  
რომელთაც პირველად დაიწყეს ამ მს-  
მალოს საქართველოს გაცნობა და და-  
ლიეს სადღეგრძელო ჩვენი ლიტერატურ-  
ის პატივცემულ მოღვაწისა უფ. დიი.  
ზ. ბაქრაძისა, აგრეთვე თ. აკ. წერეთ-  
ლისა, თ. ბრ. ბურიელისა, რომელიც,  
საუბედუროთ, ამ იმისთვის სასიამოვნო  
დღეს არ დასწრებია აქ, უფ. ბ. ნ. შანი-  
ბეგისა და სხვ.

მეშვიდე საათზე საზოგადოებამ დაიწ-  
ყო დაშლა.

ერთი აქ დამწრე პირთაგანი ვერ ვნა-  
ხეთ ჩვენ, რომ სიამოვნება და კმაყოფი-  
ლება არ ჰქონოდას სახეზე გამოხატული.

როგორც ჩინებულად ამბობს აკაკი  
„ჭმუნვის ღრუბელი აქ არავის ჰქონდა  
სახეზე გადაკრული“. შევლას თითქო  
რალაც ეპოვნოს, თითქო რალაც შევიძი-  
წოს, ისე იყვნენ განარებულნი და პირ-  
ნათელნი.

და მართლაც ესე იყო; ჩვენ ვიპოვე-  
ნეთ ჩვენი დაკარგული ძმები; ჩვენ  
ახლად შევიძინეთ ჩვენი თანამემამუ-  
ლენი, რომელნიც შავ ბედის ბრუნვისა-  
გან თითქმის სამი საუკუნის განმავლო-  
ბაში გვყავდნენ მოშორებულნი, გაცალ-  
კევებულნი; ჩვენ ისინი შევიძინეთ, იმათ  
ჩვენ შეგვიძინეს.

ამ დღეს საქართველოს შეიღონი  
განაწილებულ საქართველოს შეერთებას  
ვდღესასწაულობდით.

მს იყო ჩვენი მხიარულებისა და ნე-  
ტარების უმთავრესი მიზეზი.

ამით აქვს ამ დღეს—1878 წლის 20  
ნოემბერს ჩვენთვის ისტორიული მნიშ-  
ვნელობა!..

ს. მ.

# იშვილობა

იზამ-არაპნი კრილოვისა, გადმოთა-  
რგმნილნი და გადაკეთებულნი რუ-  
სულიდგან ქართულათ და გალექ-  
სილნი თავ. რა ფი ე ლ მ რ ი ს თ ა-  
ვის ა გ ა ნ. ზამოცემული ი. შაჩ-  
ნაძისა და ბ. ჩარკვიანისაგან. თფი-  
ლისი 1878.

მს ახალი წიგნი ჩვენი პოეტისა ბევ-  
რათ სჯობია „სიბრძნე სიცრუის წიგ-  
ნიდგან გამოკრებულთა იკავ-არაკთა.“  
ახლს იგავებში აღარ ეპოვებთ სიტყვის  
გადაჭარბებას და გაპრტყულებას; ამის  
ენა მარტივი და წმინდაა; სურათები ცო-  
ცხლად და ნამდვილად არიან გამოხა-  
ტულნი; ლექსი ტკბილ-ხმოვანი და სი-  
ტყვა-წყლიანი. შეხედეთ რა რიგათ მო-  
გვიტხრობს თ. რ. მრისთავი „ბაყაყთა  
მეფის“ მოსვლას (იხილეთ გვ. 62):

„დაეშო ზეცით ხე-მეფე მსხვილი,  
მორი ვერხვისა, ცუდათ გათლილი,  
დიდის შხუილით,  
დიდის ზუილით,  
და ისე მტკიცეთ ჩეცა ჭყანტში,  
თვისს სამეფოში ლულ ჭილიანში,  
რომ სახელმწიფომ შექმნა ზანზარი.  
ბაყაყებს შიშით ეცათ თავს-ზარი...  
სულ მიიმაღნენ აქეთ-იქითა,  
თავს ვერა ჰყოფენ მეფის შიშითა...“

რა ცხადათ იხატება ამ მოკლე სიტ-  
ყვაში სურათი ხე-მეფის სასაცილო დი-  
დებისა, მის სახელმწიფოს სიმშვენიისა  
და ქვეშევრდომითა შიშისა! ამასა ჰქვიან  
ირონია! ასრედ წერა მოიგავის უაღრესი  
ოსტატობა!...

ამ მაგალითს არ დაუვარდება სხვა  
იგავ-არაკებიც დიდის ხელოვნობით გად-  
მოღებულნი ძრილოვის ღირსეულ მთარ-  
გმნელის-მიერ.

მაგრამ რისთვის ახდნეს პატივცემული  
პოეტი თავის მშვენიერს თხზულებას?  
რისთვის სწყვეტს ხოლომე მოთხრობას  
და ჩაურთავს ერთს რაიმე უშნოს, უად-  
გილოს და ზოგჯერ უაზროს? რისთვის  
არის საჭირო ეს დამატება ქვემოყვანილ  
ლექსში (იხილეთ „წუნია სარძილო“.  
გვ. 58):

... „მსეც იცოდეთ, საქრმოს რჩევაში  
იმათ კაცხევაში, ამორჩევაში  
მს ქალი იყო დიდი წუნია...  
(ამ თქმით მგონია არ მიმტყუნია)  
ასე ამბობდა  
(თუ კიდევ ჰგრძობდა):  
„რათ ვარგანანო ეს საქრმოები...“  
და სხვ.  
ან კიდევ ეს (იხილეთ „შევი და მელა“.  
გვ. 11):

„ერთხელ ერთ ყვაესა,  
შე-ჭრელსა (?), ავსა  
(რომელიც არის წიწილის მტერი)  
საღლაც ეშოვნა ყველის ნაჭერი. და სხვ.

ჩინებული ლექსია, მაგრამ, საუბედუ-  
როთ, ფრჩხილებში ჩასხმული სტრიქო-

ნები სრულებით ამახინებენ. მშვენიერი  
შენიშვნები თითქმის ყოველ სტრიქო-  
ში არიან ჩართულნი და ტაეპის სისრულის  
მეტი სხვა არაფრის მაქნისანი არ არიან.

# ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურლი, 21 ნოემბერს. ხელმწიფე  
იმპერატორმა წარმოსთქვა გუშინ. 20  
ნოემბერს. შემდეგი სიტყვა მოსკოვში,  
ქრემლის სასახლეში:

„ძალიან მოხარული ვარ, რომ პირა-  
დათ შემიძლიან განგიმეორათ ჩემი  
გულითადი მადლობა მოსკოვის ყველა  
წოდებათ იმ ქველმოქმედებისათვის, რო-  
მელიც გავლილ ომის დროს თქვენ  
აღმოაჩინეთ. თქვენს კეთილშობილს  
მაგალითს მთელმა რუსეთმა მიბაძა.

„იმედი მაქვს, რომ ძალიან მოკლე  
ხანში მსმალეთთან შეკრული იქნება  
დაბოლოებითი მორიგების პირობა.

„ზმადლობთ აგრეთვე იმ ერთგულე-  
ბითი გრძობისათვის, რომელიც თქვენ  
გამომიცხადეთ იმ სამწუხარო შემთხვე-  
ვების გამო, რომელნიც მოხდნენ პე-  
ტერბურლში და რუსეთის ზოგიერთ სხვა  
ქალაქებში. სრულიად მჯერა ამ თქვენის  
გრძობის სინამდვილე და ეჭვი არა მაქვს,  
რომ, როდესაც მე აღარ ვიქნები, ამავე  
გრძობით შეეგებებით თქვენ ჩემს შვილ-  
სა და იმის მემკვიდრესა.

„მე იმედი მაქვს თქვენის შეწვევისა  
რომ შევაჩეროთ ჩვენი ახალგაზდობა იმ  
დამლუპველ გზაზე, რომელზედაც არა-  
სანდო კაცებს მიჰყავს ის. ღმერთმა ხელი  
მოგვიმართოს ჩვენ ამ საქმეში და მო-  
გვანიჭოს ნუფეში, რომ ჩვენი სამშობ-  
ლო ენახოთ თან-და-თან კანონიერს და  
მშვიდობიანს წარმატებაში. მარტო ამ  
გზით შეიძლება მივალწიოთ რუსეთის  
მომავალ ძლიერებას, რომელიც ისევე  
ძვირ ფასია თქვენთვის, როგორც ჩემ-  
თვისაც

პეტერბურში, 22 ნოემბერს. დღეს, დი-  
ლის 10 საათზე, პეტერბურლში მობრ-  
ძანდა ხელმწიფე იმპერატორი შევლა  
ქუჩები რკინის გზის სტანციიდან სასა-  
ხლემდინ სადგე იყო ჯარითა და ხალ-  
ხით. ბაუწყნარებელი ურას ყვირილი იყო.

პეტერბურლის ბირჟა, 18 ნოემბერს.  
(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)  
ბანკის ბილეთები: მან. კაპ.  
პირველი გამოცემის — 97 — „  
მეორესი — — — 95—25



მესამესი	— — — —	95—25
მეოთხესი	— — — —	95—12
აღმოსავლეთის პირ.	—	91—75
აღმოსავლეთის მეორე	—	91—25
მკრო, 1/2 იმპერიალი	—	8—39
თფილ. თავაღ-აზნ. ბანკის		
გირაოს ფურცელი	— —	„ — „
შინაგანი 5% სესხის ბილეთები:		
	მან. კაპ.	
პირველი სესხის	— —	235—25
მეორე სესხის	— —	228—55
1 მანეთი ლირს:		
ლონდონი	— —	23—43 ვენსი
ამსტერდამი	— —	118— „ ცენტი
ბერლინი	— —	200— „ ჰფენიგი
პარიჟი	— —	246—50 სანტიმი
აქვასიის კერასინი	— —	„ — „

### ბანსხალბანი

დაიბეჭდა და ისყიდება **ა. თუთაიის** სამ-მოქმედებანი კომედია; „**რძალი, გული და მამუნიკაბი**“ — თფილისში: **ბრიჭუროვის, მართანოვის და ჩარკვიანის** წიგნის მაღაზიაში,

**ვლადიკავკასი**: ბიორგი ბარათოვთან, **ზორში**: ზაქარია ღონდაროვთან, **ცხინვალში**: თ. შანო **თაქთაქოვთან**, **საქაშეთს**: თ. ნიკო **დასამესწის** **მეფერისხევს**: მასწავლებელ **მოსენათაძესთან**, **ჭუთაისს**: **ა. მესხის** წიგნის მაღაზიაში და **დ. ბოკეროასთან**, **სამტრედია**: **იორდანე სიხარულიძესთან**, **ფოთში**, **ქიზობარ ბაბალოვთან**.

ამავე პირობათან ისყიდება ამავე **თუთაიის** მეორე კომედია. — „**ცოლი შიტრო, თუ ფული?**“

(6—4)

მომავალ 1879 წლის იანვრიდამ გაზეთის „**ივერიის**“ მაგივრად გამოვა **თფილისში** **ჩუჩნალი**

## ივერია

შემდეგის პროგრამით:

**I. საპარტიველო მათიანე**: განხილვა თვე-და-თვე ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება ჩვენის საზოგადოებრივ მომდინარე ცხოვრებას და მთავრობითს წარმოებას.

**II. საპოლიტიკო მიმოხილვა**: განხილვა თვე-და-თვე საზოგადო პოლიტიკისა და აგრეთვე უცხო ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადოებრივის მომდინარე ცხოვრებისა.

**III. რუსეთის მათიანე**: დრო გამოშვებით განხილვა ყოველის გვარის შესანიშნავის საგნისა, რაც კი შეეხება აწინდელ რუსეთის სახელმწიფოს წარმოებას და საზოგადოების ცხოვრებას.

**IV. ბელეტრისტიკა**: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა ამ გვარი.

**V. კრიტიკა**.

**VI. ბიბლიოგრაფიული ცნობები**: მოკლე განხილვა შესახებ ახალ წიგნებისა.

**VII. ცალკე წერილები**: შესახებ ყოველის გვარის მეცნიერებისა და აგრეთვე შესახებ ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრებისა, წარსულისა და აწინდელისა.

**VIII. კორესპონდენცია**: შესახებ ჩვენის ქვეყნისა, რუსეთისა და უცხო ქვეყნისა.

„**ივერია**“ გამოვა თვეში ერთხელ, თვითო წიგნი შეიცავს თორმეტის თაბანის არა ნაკლებ.

ხელის-მოწერა მიიღება: **თფილისში**, „**ივერიის**“ რედაქციაში, **სოლოლაკში**, **ბონსულის ქუჩაზე**, № 4. აგრეთვე **ბ. ჩარკვიანის** წიგნის მაღაზიაში, **ჭაშუეთის** **ეკლესიის** ქვემოდა.

**თფილისის** გარეშე მცხოვრებთათვის: **Въ Тифлисъ, въ редакцію журнала „ИВЕРІИ“.**

„**ივერიის**“ ფასი—წელიწადში: **თფილისში** მცხოვრებთათვის . . . 11 მან.

გარეშე მცხოვრებთათვის . . . 12 მან.

ქვესი თვით: **თფილისში** მცხოვრებთათვის . . . 5 და 50 კ.

გარეშე მცხოვრებთათვის . . . 6 და 50 კ.

გაზეთი „**ივერია**“ დეკემბერში აღარ გამოვა. ხელის მომწერლებს ამ ნომრებს მათ მაგივრად დაურიდებთ იანვარში პირველი წიგნი **ჭურნალისა**. ამის გამო აწინდელ ხელის მომწერლებთათვის **ჭურნალის** ფასი 1879 წ. იქნება 11 მან.— გარეშე მცხოვრებთათვის და 10 მან.—**თფილისში** მცხოვრებთათვის.

(3—3)

რ. ბ. შ. ა.	ლით.	საღა.	II კ.	III კ.	ბალეზრაფი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამაჟრნალო.
თფილისი	9 21	5 18	3 კაპ.	8 კაპ.	რ. ცი სიტყვა თფილ სიღამ:		თფილისი, 22 ნოემბერს.		ქრეფნ. ს. მაედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	აქვასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	50	ფქვ. თეთ. ბანჯცხა, ფთ.	180	ავთამყოფებს მიიღვენ ყოველს დღე ლილის 9 საათიდან 1-მდინ.
ზორი	11 58	9 43	2 40	1 33	რახტოვა, მ. დესხა, მოსკოვი:	2	შეგლი წითელი . . . . .	150	<b>მ. რ. შაბათს</b> : მერმიშვი და ბა- ლდევჩი.— შინ. გ. ავათ., ქიუჩა- რიანც—საჯარო ექიმი და საშვი- ლოს ობერაკიები.
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	მსბალოთშ, შვიკო, რიაში.	3	ბამბა შრეცისა, ფთო . . . . .	6 50	<b>ს. ა. შაბათს</b> : მერმიშვი — ში- ნაგ. ა. ბ. ხუტოვი — საბეზიო და ბავ- შვის, პუწნოვი — თვალის.
სურამი	1 44	4 42	2 46		იტალიანი და ს. გრანგ. ტში.	3 50	— აიერიკი ა, ფთო . . . . .	7 50	<b>მ. თხზუბათი</b> : მერმიშვი ში- ნაგანი.
ჭყვილა	5 49	5 81	3 23		ინგლისში . . . . .	3 75	ბაპენტალი ბ მბა ფთო . . . . .	10	<b>ს. ხუთ შაბათს</b> : მერმიშვი — ში- ნაგ., ქიუჩარიანცი — იფილიტიკუ- რი და საშარდ ორგანების.
რიონი	6 5	6 75	3 75		<b>ფორტა</b>		მატული თუშური ფთო . . . . .	7 50	<b>პარასკევს</b> : მერმიშვი ვი- შინაგ., ა. ბახუტოვი — საბეზიო ქალისა და ბავუგუშის.
სამტრედია	7 51	7 73	4 29		ა) თფილისიდან: საზღვარ გარ- თ, ქუთაის, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. <b>ხუტდ. ორშ.</b> და ხუთშ. <b>მ. ხუტ.</b> — პარასკ. და ორშ. <b>ბა-</b> ხეთს — სამშ. და შაბ. <b>ბ) ქუთაი-</b> სიდან: თფილისისა და შოთისკენ — ყოველ დღე კვირას გარდა. <b>მ. ხუტ-</b> გეთს — ორშ. და პარასკ.	5 60	შარაქამისა ფთო . . . . .	5 60	<b>შ. ბახუტოვი</b> — საბეზიო და ბავ- შვის, პუწნოვი — თვალის.
ახალ-სენაკი	8 43	8 57	4 76		წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ და სამზღვარ გარეთ:		— თარაქამისა ფთო . . . . .	2	<b>მ. თხზუბათი</b> : მერმიშვი ში- ნაგ., ქიუჩარიანცი — იფილიტიკუ- რი და საშარდ ორგანების.
ფოთი	9 50	9 75	5 42		<b>ლა წიგნის</b> . . . . .	4	აბრეშუმი ნუხური სტ . . . . .	2	<b>პარასკევს</b> : მერმიშვი ვი- შინაგ., ა. ბახუტოვი — საბეზიო ქალისა და ბავუგუშის.
შოთი	9 3				<b>დ. ბ. კილიის</b> (ბ. ში მისხალი) . . . . .	8	ქონი, ფთო . . . . .	5 80	<b>პუწნოვი</b> — თვალისა.
ახალ-სენაკი	10 14	1 18	66				ქონის სანთლი ფთო . . . . .	7 20	<b>მ. თხზუბათი</b> : მერმიშვი ში- ნაგანი.
სამტრედია	11 5	2 6	1 14				სტეარინის ს. ნთელი, ფთ. . . . .	12 50	<b>ს. ხუთ შაბათს</b> : მერმიშვი — ში- ნაგ., ქიუჩარიანცი — იფილიტიკუ- რი და საშარდ ორგანების.
რიონი	12 13	3 4	1 69				ხორცი ძროხისა, ლიტ . . . . .	81	<b>პარასკევს</b> : მერმიშვი ვი- შინაგ., ა. ბახუტოვი — საბეზიო ქალისა და ბავუგუშის.
ჭყვილა	1 18	დამე.	3 98	2 21			— ცხვრისა, ლიტრა . . . . .	90	<b>შაბათს</b> : მერმიშვი ვი- შინაგ., ა. ბახუტოვი — საბეზიო ქალისა და ბავუგუშის.
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96			სპირტი ვდრო . . . . .	4 80	<b>პუწნოვი</b> — თვალისა.
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24			შაქარი, ბროც. ფთო . . . . .	7 40	
ზორი	7 5	4 87	36 4 9				— ფხვნილი ფთო . . . . .	6 40	
მცხეთა	8 50	6 59	9 8 5 4				შავა გრველი, გირვ . . . . .	70	
თფილის	9 31	7 56	9 75 5 42				ხეთი ქუწუჯუთისა ფთო . . . . .	12 80	
							<b>მამაქაო, ს. შულო</b> ფთ. . . . .	6 50	